

**ესწრებოდნენ:**

ნანა აბურჯანიძე - „ტელეკომპანია პირველი“-ს კომერციული დირექტორი;  
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;  
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

**დღის წესრიგი:**

მოქალაქე ნოდარ დოლიძის საჩივარი

**მოისმინეს:**

ნანა აბურჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე ნოდარ დოლიძის საჩივარი, რომელიც შეეხება ვახო სანაიას საავტორო გადაცემაში „მისი ოჯახის მოხსენიებას თაღლითებად“ და მოითხოვს ვახო სანაიამ „მოიხადოს ბოდიში შეუფერებელი და მიკერძოებული საქციელისთვის და ასევე გადაუმოწმებელი ინფორმაციისთვის“.

საჩივარი გამოგზავნილია 2020 წლის 22 იანვარს ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს აღნიშნული გადაცემა, დეტალურად განიხილეს იგი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები:

1. ბატონ ნოდარ დოლიძის საჩივარი იწყება მცდარი ინფორმაციით, თითქოს გადაცემაში მიწვეული სტუმარი იყო ე.წ. ჟურნალისტი. ამ განაცხადს მივიჩნევდით უნებლიე უზუსტობად, რომ არა საჩივრის ავტორის შემდგომი განცხადება, რომ თითქოს ვახო სანაია სტუმრისადმი იჩენს კოლეგიალობას. ამით, ბატონი დოლიძე მიაჩნებდა, რომ წამყვანი არის მიკერძოებული. ეს არის არაობიექტური შეფასება, ვინაიდან ბატონი ღონღაძე არ არის ჟურნალისტი და მის მიმართ ვახო სანაიას კოლეგიალური განცდა ვერ ექნებოდა.
2. სინამდვილეში, სტუმრის ტიტრში მითითებულია, რომ ის არის რეჟისორი. ვახო სანაიაც გადაცემის დასაწყისშიც და ბოლოშიც სტუმარს სწორედ რეჟისორად წარადგენს.
3. საავტორო გადაცემების პირდაპირი ეთერის დროს, შეუძლებელია გადაცემის ავტორმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რას იტყვის მისი რესპონდენტი. ბატონი ღონღაძის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე „შენიშვნის“ მიცემა არ არის ჟურნალისტის მოვალეობა, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ მეორე მხარეს შესთავაზოს იგივე ფორმატში იგივე დროით მონაწილეობა, რაც ვახო სანაიამ არა ერთხელ გააჟღერა ამ კონკრეტული ეთერის დროს.
4. მცდარია ის ინფორმაცია, თითქოს ვახო სანაია სტუმარს უთანხმებდა, დაეთმო თუ არა ეთერი ბატონი დოლიძისთვის, როგორც ამას საჩივრის ავტორი ამტკიცებს. ვახო სანაიას ზუსტი ციტატა ასეთია: „თუკი ექნება სურვილი მეორე მხარეს, მე შემძლია მათაც დავუთმო ეთერი, ზუსტად ისევე, როგორც თქვენ“. შემდეგ სანაია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბატონი დოლიძის გამომხატურების შემთხვევაში ის ამას (ეთერის

დათმობას) აუცილებლად გააკეთებს. გაუგებარია, საიდან დასკვნა ბატონმა დოლიძემ, რომ სანაია მისთვის ეთერის დათმობა-არდათმობის საკითხს სტუმართან ათანხმებდა.

5. მცდარია საჩივარში გამოთქმული ბრალდება ტელევიზიის მიმართ, რომ დოლიძეები არიან „ჩვენი დახმარებით „თაღლითებად“ მონათლულები“. არც არხს და არც გადაცემას მსგავსი კუთხით ოჯახის წარმოჩენის მიზანი არ ჰქონია. სწორედ ამიტომ შესთავაზა გადაცემის ავტორმა ნოდარ დოლიძეს ნებისმიერ დროს მიეღო გადაცემაში მონაწილეობა.
6. კომისიის შეფასებით, ბატონი დოლიძის მიერ გამოგზავნილი საჩივარი არაობიექტურია და გაჯერებულია ვახო სანაიას ქმედებების სუბიექტური შეფასებებით.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე, თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ ვახო სანაიას საავტორო გადაცემის ვალდებულება ან ფუნქცია არ არის დოლიძე-დონდაძის დაპირისპირებაში ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურება სატელევიზიო ეთერის დაპირისპირებული მხარეებისთვის თანაბრად დათმობით.

ვახო სანაიასთან კომისიამ გაიარა აღნიშნული საჩივარი და ის უცვლელად მზადყოფნას გამოთქვამს, იგივე გადაცემის ფარგლებში, დაუთმოს თავისი ეთერი ბატონ დოლიძეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი ფორმატით - სტუმრის რანგში ან დებატებში დაპირისპირებულ მხარესთან.

შესაბამისად, თვითრეგულირების კომისია ასკვნის, რომ არ დაკმაყოფილდეს ბატონი დოლიძის მოთხოვნა, რომ „ვახო სანაიამ მოიხადოს ბოდიში შეუფერებელი და მიკერძოებული საქციელისთვის და ასევე გადაუმოწმებელი ინფორმაციისთვის“, ვინაიდან გადაცემის ავტორის მხრიდან ქცევის კოდექსის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ნანა აბურჯანიძე

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე